ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---ივლისი 2025 წელი

ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ლომისის სახელის მინიჭების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს ლომისის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

ივანე ჯავახიშვილის ქუჩა
ალიოშინ ჯანუკიანის ქუჩა
ალიოშინ ჯანუკიანის ქუჩა
ალიოშინ ჯანუკიან

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

06 / აგვისტო / 2024 წ.

06-032421961-03

KA011751608772424

№ **172570**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) 2024 წლის 31 ივლისს წარედგინა ხათუნა უნდილაშვილის M24012308 განცხადება მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდი: 01.11.05.011.401) მისამართის დაზუსტების თაობაზე.

მოგახსენებთ, რომ სააგენტოს სამისამართო რეესტრში მიმდინარე მდგომარეობით 01.11.05.011.401 საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთის მიმდებარედ რეგისტრირებულია გეოგრაფიული ობიექტები შემდეგი სახელწოდებებით:

- „ქალაქი თბილისი, ვლადიმერ ჯანჯღავას III შესახვევი“.

აღნიშნულ გეოგრაფიულ ობიექტებზე ინფორმაცია, ასევე, დაცულია ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მიერ 2008 წელს გამოცემული ენციკლოპედიაში („თბილისი, ქუჩები, გამზირები მოედნები“).

ასევე მოგახსენებთ, რომ აღნიშნული შესახვევის მიმდებარედ არსებულ რამდენიმე უძრავ ნივთს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში საიდენტიფიკაციო მონაცემად უფიქსირდება „ქალაქი თბილისი, ვლადიმერ ჯანჯღავას III ჩიხი“.

სამისამართო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების სრულყოფის და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოსაკვლევად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია თანდართულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული ობიექტი „ქალაქი თბილისი, ვლადიმერ ჯანჯღავას III შესახვევი“ წარმოადგენს თუ არა გეოგრაფიული ობიექტის მოქმედ სახელწოდებას.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სამისამართო დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ტაბატაძე

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032519662**
თარიღი: **15/07/2025**

როგორც მოგეხსენებათ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს # 06-032421961-03 მომართვის საფუძველზე, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ დაიწყო ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გზათა ქსელის მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

საკითხის შესწავლის ფარგლებში ზეპირი კომუნიკაცია გაიმართა როგორც სამისამართო დეპარტამენტთან, ასევე ადგილზე მოხდა ტერიტორიის დათვალიერება, გზათა ქსელის შეწავლა და გამოიკითხა ადგილობრივი მოქალაქეების აზრი.

როგორც დგინდება, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩა წარმოდგენილია ქსელის სახით, ქუჩას არ აქვს ერთი ძირითადი დასაწყისი და დასასრული, მონაკვეთები ერთმანეთთან გეგმარებითი კავშირის გარეშეა სახელდებული როგორც ვლ. ჯანჯღავას ქუჩა. გარდა აღნიშნულისა ქუჩას აქვს შესახვევები და ჩიხები, რომელთა მიმდებარედ ასევე წარმოქმნილია უსახელო გეოგრაფიული ობიექტები. კომისიის მიერ მოქალაქეებთან და სამისამართო დეპარტამენთთან ერთობლივი კომუნიკაციის შედეგად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული ქუჩის მონაკვეთებად დაყოფა და დამოუკიდებელ ქუჩებად სახელდება.

გთხოვთ, უზრუნველყოთ საკითხის შემდგომი დამუშავების მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარება თქვენი უფლებამოსილების ფარგლებში.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-03251989**
თარიღი: **17/07/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს #06-032421961-03 მომართვის საფუძველზე დაიწყო ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გზათა ქსელის მოწესრიგებასთან დაკავშირებით.
როგორც დგინდება, ვლადიმერ ჯანჯღავს ქუჩა წარმოდგენილია ქსელის სახით. ქუჩას არ აქვს ერთი ძირითადი დასაწყისი და დასასრული, გარდა აღნიშნულისა, ქუჩას აქვს შესახვევები და ჩიხები, რომელთა მიმდებარედ ასევე წარმოქმნილია უსახელო გეოგრაფიული ობიექტები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩასთან მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სიტუაციური ნახაზები დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 7 (შვიდი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი